დაწესებულებამ წარმოადგინა შესავსები ანონიმური ანკეტა-კითხვარების ნიმუშები, (ვნახეთ ანკეტა კითხვარების შევსებული ვარიანტიც, რომლის შეჯამების შედეგად გაკეთებულია ანალიზი), რის საფუძველზეც ახდენს პროგრამის განახლებას, სრულყოფას. ანკეტა-კითხვარების ნიმუშის, სათაურის ფორმულირებასთან დაკავშირებითი - ,,ლექტორის ხელოვნების შეფასება სტუდენტის მიერ", დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ,,ლექტორის ხელოვნება" ჩაენაცვლებინა - ,,პროფესიული განათლების მასწავლებლით". აღნიშნული გასწორდა ვიზიტის დასრულებამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ანკეტა-კითხვარებით;
- ✓ გამოკითხვის შედეგებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათშორის:

ა)ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი" საქმიანობას ახორციელებს ორ მისამართზე:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

________

________

*(თბილისი,2018)*

*დანართი №2*

ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. 2; მე-5 და მე-6 სართულზე 1196. 28 კვ.მ ფართი. გაფორმებულია იჯარა შპს ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრსა და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონი" შორის.

ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6; შენობის მე-2 და მე-2 სართულზე საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება 538,55 კვ.მ

„საფინანსო სერვისების" და „კონსულტანტ-გამყიდველის" მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის ნაწილის განხორციელებისათვის გამოყოფილია C გარემო - სიმულაციისოთახი, რომელშიც განთავსებულია მოდულებით გაწერილი ყველა აუცილებელი აღჭურვილობა, მულაჟები და სატესტო კომპიუტერული პროგრამები (ალტა).

პრაქტიკული მეცადინეობების გარკვეულ ნაწილს პროფესიული სტუდენტები ახორციელებენ სასწავლებლისგარეთ, პრაქტიკის ობიექტებზე, რაც უზრუნველყოფს უნარების შეუფერხებელ ტრანსფერს რეალურ საწარმოო გარემოში.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. N 2 | 1196,28 კვ.მ (V, VI სართ) |
| 2 | ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6 | 538,55 კვ.მ (II, III სართ) |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ფართის ფლობის საიჯარო ხელშეკრულებით;
- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ)სათანადოინვენტარით აღჭურვილი სასწავლოფართი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*[თბილისი,2018]*

*დანართი №2*

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება საკუთრებაში ფლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აუდიტორიები აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით. კოლეჯს გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა განთავსებისა და სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, აუდიტორიები შევსებულია აუცილებელი ინვენტარით, (მოდულის მიხედვით),აღჭურვილია კომპიუტერებით, მრავალფუნქციური პრინტერებით, პროექტორით და ყველა იმ ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკით, რაც საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კოლეჯს გააჩნია:

კომპიუტერული კლასი B გარემო - 32 კვ. მ + 16 კვ. მ. („ინფორმაციის ტექნოლოგია" საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, სადაც 16 კომპიუტერის კომპლექტია პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 კომპიუტერის კომპლექტი მასწავლებლისთვის, მრავალფუნქციური პრინტერი, პროექტორი, დაფა).

პროგრამისთვის "ინფორმაციის ტექნოლოგია" B გარემო - სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

B გარემო- დაკომპლექტებულია მოდულური სასწავლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა" საჭიროსაბუღალტრო კომპიუტერული პროგრამითა და მოდულური სასწავლო პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები" - საჭირო კომპიუტერული პროგრამით დაინსტალირებული კომპიუტერებით.

B გარემო აკმაყოფილებს ერთდროულად 16 სტუდენტის განთავსების პირობას.

მოდულური სასწავლო პროგრამა „კონსულტანტ-გამყიდველი" - C გარემო ფართით 26 კვ. მ აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. C გარემოს მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს არანაკლებ 4 კვ.მ ფართს 1 პროფესიულ სტუდენტზე, აკმაყოფილებს 6 სტუდენტის ერთდროულად განთავსების პირობას (ნაცვლად 1 ცვლაში კოლეჯის მიერ მოთხოვნილი 13სტუდენტისა). დაწესებულების, წარმოდგენილ ჩარჩო დოკუმენტის ინვენტარისა და აღჭურვილობის ჩამონათვალის ფორმატში, მითითებული არ არის ჩარჩო დოკუმენტის დასახელება/მისანიჭებელი კვალიფიკაცია, რის შესახებაც მიეცა რეკომენდაცია კოლეჯს და ტექნიკური უზუსტობა გასწორდა ვიზიტის დღეს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..........

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..........

..........

..........

*{თბილისი,2018}*

*დანართი №2*

სასწავლო გარემოსა და მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა: ქ. ქუთაისი: „ბუღალტრული აღრიცხვა“ - ჯამურად 26 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში (ნაცვლად 52-სა);

- „საფინანსო სერვისები“ – ჯამურად 32 პროფესიული სტუდენტი, B გარემოში 2 ცვლის (16+16) შემთხვევაში (ნაცვლად 40-სა);
- „საოფისე საქმე“ – ჯამურად 32 პროფესიული სტუდენტი, B გარემოში 2 ცვლის (16+16) შემთხვევაში;
- „გამყიდველ კონსულტანტი“ – ჯამურად 24 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში, C გარემოში ერთდროულად 6 სტუდენტისგან შემდგარი ქვეჯგუფის ორგანიზების შემთხვევაში (ნაცვლად მოთხოვნილი 52-სა);
- „ინფორმაციის ტექნოლოგია“ - ჯამურად 32 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში.

ქ. თბილისი:

- „ბუღალტრული აღრიცხვა“ - ჯამურად 32 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში;
- „საფინანსო სერვისები“ – ჯამურად 31 პროფესიული სტუდენტი, B გარემოში 2 ცვლის (16+15) პირობით;
- „საოფისე საქმე“ – ჯამურად 31 პროფესიული სტუდენტი, B გარემოში 2 ცვლის (16+15) პირობით;
- „ინფორმაციის ტექნოლოგია“ - ჯამურად 32 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში.

ჯამურად ორივე მისამართზე 272 პროფესიული სტუდენტი ნაცვლად მოთხოვნილი 342-სა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signature] [signature]

*[თბილისი,2018]*

*დანართი №2*

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში არის საგანმანათებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო.

ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალ-ცალკე არსებულ სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ/ჰიგიენური ნორმები, ზოგადად შენობაში, ყველა აუდიტორისა და ოტახში უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათება, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობისსისტემა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით და ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ✓ კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში(სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

*(თბილისი,2018)*

დაწესებულების ორივე მისამართზე ქ. ქუთაისსა (ოცხელის ქ. N2) და ქ. თბილისში (ბაქრაძის ქ. N6) მოწყობილია ბიბლიოთეკა, სადაც გამოყოფილია მკითხველისთვის შესაბამისი სივრცე მაგიდებითა და სკამებით სტუდენტებისა და მკითხველებისათვის.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს დებულება, ბიბლიოთეკის შინაგანაწესი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში ფიქსირდება 3020 ერთეული წიგნი (მ.შ. 1820 ქუთაისში და 1200 თბილისში). ბიბლიოთეკაში ინახება მკითხველთა სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და სახელმძღვანელოების რეგისტრაცია ხდება რეგისტრაციის ჟურნალში. პსდ-ს მიეცა რეკომენდაცია კოლეჯში არსებული ლიტერატურის რეგისტრაცია მოახდინოს საბიბლიოთეკოწესით განსაზღვრული წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნში, რომელიც იქნება დანომრილი, აკინძული და დალუქული, სადაც სრულად აისახება სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორები, გამოცემის წელი.დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს შეიძინა წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი დაიწყო წიგნადი ფონდის შეტანა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „საფინანსო სერვისები", ,,ბუღალტრული აღრიცხვა", "ინფორმაციის ტექნოლოგია", ,,საოფისე საქმე" და „კონსულტანტ-გამყიდველი" მითითებული ლიტერატურა გადამოწმდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ყველა მასალა (როგორც ბეჭდური, ასევე ელ. მატარებლებზე ჩაწერილი) არსებობს ბიბლიოთეკაში.

წიგნადი ფონდი თაროებზე განლაგებულია რიგითობის მიხედვით (ბიბლიოთეკის შინაგანაწესის მე-5 მუხლის 1 პ.), კატალოგი დალაგებულია ანბანურად (ქართულ ენოვანი და რუსულ ენოვანი ცალ-ცალკე) და დარგობრივი სტატუსის გათვალისწინებით (ქართულ ენოვანი და რუსულ ენოვანი ცალ-ცალკე), მოიცავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე მასალას. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას და სხვა სასწავლო მასალასთან ერთად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია5 (მ.შ 3 ქუთაისში, 2 თბილისში) კომპიუტერი, პრინტერი და სკანერი (1-1 ერთეული ქ. ქუთაისში,1-1 ერთეული ქ. თბილისში). პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია მოდულებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა.ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ 2016 და 2017 წელს გატანილი სახელმძღვანელოების დაბრუნებაზე არ იყო მითითებული თარიღი, ასევე არ ფიქსირდებოდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

*(თბილისი,2018)*

მკითხველის ფორმულარზე სახელმძღვანელოს გატანისა და დაბრუნების თარიღები. ფორმულარზე მითითებული მოთხოვნის მიუხედავად, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის გაცნობაზე არ ფიქსირდებოდა მკითხველისა და ბიბლიოთეკარის ხელმოწერები. სასურველია, ბიბლიოთეკის დებულებაში საბიბლიოთეკო რესურსების დაბრუნების ვადები მოერგოს კოლეჯის რეალურ საჭიროებას და შეიცვალოს, რათა კოლეჯის მიერ დადგენილი წესი იქნას დაცული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- ✓ ბიბლიოთეკის დებულებით;
- ✓ სახელმძღვანელოების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ საგანამანათლებლო პროგრამებით;
- ✓ ჩარჩოდოკუმენტით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიულ კოლეჯში დამონტაჟებულია პროფესიული სტუდენტებისათვის, პროფესიული მასწავლებლებლების და ადმინისტრაციის სარგებლობისთვის განკუთვნილი სათანადო აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის ქუთაისში: B გარემო (აუდიტორია 3) 16 კომპლექტი სტუდენტებისათვის და 1 კომპლექტი პედაგოგისთვის; 3 კომპლექტი ბიბლიოთეკაში, თითო კომპლექტი A/C გარემო (N1-4-7-9-13-16) - სულ 6; 2 კომპლექტი ადმინისტრაციისთვის; 1 კომპიუტერი-სერვერი - ჯამურად 29 კომპიუტერი.თბილისში: B გარემო (აუდიტორია 3) 16 კომპლექტი სტუდენტებისათვის და 1 კომპლექტი პედაგოგისთვის; 2 კომპლექტი ბიბლიოთეკაში; თითო კომპლექტი A გარემო (N2-4-5-8-10-11) - სულ 5; 3 კომპლექტი ადმინისტრაციისთვის; 1 კომპიუტერი-სერვერი - ჯამურად 29 კომპიუტერი.

პროფესიულ კოლეჯში არსებობს შიდა ქსელი, გარდა აუდიტორიებში არსებული სადენიანი წვდომის წერტილებისა, მრავალფუნქციური უსადენო მარშრუტიზატორების მეშვეობით შესაძლებელია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..........

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..........

უსადენო ქსელთან წვდომა და ინტერნეტით სარგებლობა), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება დაწესებულების მართვისათვის და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირთათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით
- ✓ მოწყობილობების ფლობის დოკუმენტებით
- ✓ ტელესაკომუნიაციო მომსახურების (კომპანია „სილკნეტი"; კომპანია „ახალი ქსელები") გადახდის ქვითრებით;
- ✓ ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;
- ✓ B გარემოს გამოყენების სასწავლო გეგმით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაშიმიმდინარეობსგამოცემულიაქტებისადაკორესპონდენციისაღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. საქმისწარმოებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით დანიშნული საქმისმწარმოებელი. დაწესებულება დოკუმენტბრუნვას ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, რომელშიც აღნიშნული წესი განსაზღვრავს შემოსული, გასული და შიდა ბრუნვის დოკუმენტაციის აღრიცხვიანობისა და დაარქივების პროცედურებს, დოკუმენტაციის შენახვის ვადებს. დაწესებულების აქტები და ოფიციალური წერილები ფორმდება სპეციალურ ბლანკზე, რომელზეც მითითებულია დაწესებულების დასახელება, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და დაწესებულების ლოგო/სახე დოკუმენტაციების აღრიცხვის ჟურნალებიდანომრილია, ბეჭედდასმულია, თუმცა დაწესებულების მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული დაგასული დოკუმენტაციაარარისდაყოფილ უნიფიცირებული სისტემების, საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურების ინდექსების მიხედვით, პსდ-ს მიეცა რეკომენდაცია დახვეწოს საქმისწარმოების ერთიანი წესი და უზრუნველყოს დოკუმენტბრუნვის მოსწერიგება, შინაარსობრივი და გაფორმების ხარისხის ამაღლება, საქმეთა კონკრეტული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

*(თბილისი,2018)*

*დანართი №2*

ნომენკლატურა და ინდექსირება, ასევე, ჩანაწერები აწარმოოს ტექნიკური უზუსტობების გარეშე, დაიცვას საქმისწარმოების წესი.

სასურველია, პსდ-მ სრულყოს შინაგანაწესში X თავის 28-ე მუხლის (,,კოლეჯის პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობა") მე-2 პუნქტის ჩანაწერი ,,...დისციპლინური სახდელის დადებისას გაითვალისწინება ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე", რათა დაზუსტდეს პროცედურა, თუ რა მიიჩნევა გადაცდომის სიმძიმედ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- ✓ შინაგანაწესით;
- ✓ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №35; 28 03.2018 წ.
- ✓ *შეფასება:*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ)სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ)წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების სისტემა. შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები. პროფესიულ კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას, ფლიგელებში გამოკრულია უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა. დერეფნებში გვხვდება გადაადგილების მიმანიშნებელი ისრები და განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები, რომელთა დამუხტვის ვადაც შეესაბამება მიმდინარე პერიოდს და ვარგისია გამოსაყენებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..................

..................

..................

*(თბილისი,2018)*

*დანართი №2*

სასწავლო დაწესებულების შინაგანაწესში გაწერილია წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმები და გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ✓ ექიმთან დადებული ხელშეკრულებით;
- ✓ პასუხისმგებელ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, მანიშნებელი ნიშნაკებიდა უსაფრთხოების პლაკატები

გ)სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დაწესებულებაში გამოყოფილია ოთახი/სამედიცინო კაბინეტი ქუთაისსა და თბილისში, პირველადი დახმარების აღმოსაჩენად შესაბამისი ინვენტარითა და გამოსაყენებლად ვარგისი პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტები. სამედიცინო ოთახში შესაძლებელია პირველადი დახმარების აღმოჩენა. სამედიცინო ოთახის შევსება შესაბამისი პირველადი სამედიცინო დახმარების პრეპარატეთ/მედიკამენტების ხდება პერიოდულად.

დ)წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ...........................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ...........................

...........................

...........................

*(თბილისი,2018)*

შემუშავებულია წესრიგის დაცვის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ხელშეკრულებით სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მომსახურეობის გაწევაზე;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ✓ სასაქონლო ზედნადებებით;
- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7.** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ქუთაისში ოცხელის 2 ნომერში განთავსებულ ფართზე (მე-5-6 სართული) კიბეებზე დამონტაჟებულია ხის კონსტრუქციის პანდუსები. ადმინისტრაციის განმარტებით მიმდინარეობს ლიფტის მონტაჟისთვის საჭირო პროცედურები. სველი წერტილები ადაპტირებულია. თბილისში, ბაქრაძის №6, განთავსებულ ფართზე (მე-2-3 სართული) ფუნქციონირებს ლიფტი, ხოლო შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

*(თბილისი,2018)*

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8**ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომდაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საზოგადოებრივ კოლეჯის „კავკასიონი" ვებ-გვერდის მისამართია kavkasioni.edu.ge, მისამართი სოციალურ ქსელ facebook-ში https://www.facebook.com/kolejikavkasioni/. ვებ-გვერდი ასრულებსსაკომუნიკაციოდასაინფორმაციოფუნქციას, მასზეგანთავსებულია ინფორმაცია ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლებისა და პერსონალის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ინფორმაცია პრაქტიკის ბაზების შესახებ. ვებ-გვერდზე, ასევე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის დათვალიერება: ავტორიზაცია, შეფასების სისტემა, მისია, წესდება, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, სტრუქტურა, შინაგანაწესი, განვითარების გეგმა, ვაკანსია. ვებ-გვერდიდან შესაძლებელია წვდომა ბიბლიოთეკის ელ. რესურსებთან და ბიბლიოთეკის შინაგანაწესისა და დებულების გაცნობა. ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე მრავლადაა წარმოჩენილი სტუდენტური აქტივობები. ვებგვერდის განახლება ხდება რეგულარულად.

ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, სატელეფონო ნომრებისა და ელ. ფოსტის მისამართის სახით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვებ-გვერდის kavkasioni.edu.ge დათვალიერებით.

შეფასება:
■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(თბილისი,2018)*

*დანართი №2*

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) 2017-2023წწ. და ერთწლიანი 2017-2018 ს/წ სამოქმედო გეგმები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. გეგმები დამტკიცებულია დირექტორის მიერ.

ერთწლიანი 2017-2018 ს/წ სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული სამოქმედო გეგმიდან.

სტარტეგიულ გეგმაში მითითებულია თუ რა უნდა იქნას მიღწეული და როდის უნდა იქნას მიღწეული, მაგრამ არ არის განსაზღვრული პოზიცია, ვის მიერ მოხდება მასში მოცემული მისაღწევი მიზნების მიღწევის შეფასება, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტრატეგიულ გეგმაში ასახოს პასუხისმგებელი პირი/პოზიცია, თუ ვის მიერ მოხდება მასში მოცემული მისაღწევი მიზნების მიღწევის შეფასება, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, სხვა მიზნებთან ერთად გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებით დაწესებულების ფუნქციონირებაში ხელშეწყობა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია: შეიმუშავოს სტრატეგიული დაგეგმვის პროცედურა, რომელიც გაითვალისწინებს მასში ყველა დაინტერესებული მხარის მეტი აქტიურობით ჩართულობას, გადახედოს საკუთარ მისიას და შესაბამისობაში მოიყვანოს არსებულ საუკეთესო პრაქტიკასთან და პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებთან. სასურველია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა მოიცავდეს მისი შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს. რეკომენდირებულია პსდ-მ სრულყოს პერსონალის მიღების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ 2017-2023 წწ. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმით- ბრძანება №37; 25.03.2017წ.
- ✓ 2017-2018 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით - ბრძანება №35; 28.03.2018წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

------------

*(თბილისი,2018)*

✓ მისიით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

### 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების და მათ შორის „ინფორმაციის ტექნოლოგია", ძირითადი დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებს. ამავდროულად,კონკრეტულად IT სფეროს და საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის (რომელიც დაფუძნებულია IT Essential სასწავლო/სასერტიფიკაციო კურსზე), სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია „ინფორმაციის ტექნოლოგიის" სასწავლო პროგრამის ძირითადი პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პერსონალს ჰქონდეს IT Essential კურსის ინსტრუქტორის სტატუსი, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელიდა პროფესიული სტუდენტების, შესაბამისი on-lineსასწავლო გარემოსადმი წვდომას, მათ შორის ქართულ ენაზე(ასევე უცხო ენებზე) და მის გამოყენებას სასწავლო და შეფასების სქემებში.

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციის და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და საშტატო განრიგი.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პ/საქმეების შემოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან.თუმცა, პერსონალთან გასაუბრებისას დაფიქსირდა მცირე შენიშვნები, კერძოდ, პროფესიული განათლების ზოგიერთი მასწავლებელი არ იცნობდა მოდულის ყველა ნიუანსს (შეფასების მიდგომები სწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

შედეგების მიხედვით, საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით). დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია: სრულყოს პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამების შემუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს, დოკუმენტების წარმოებისას ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრას; სასურველია მოდულის „ინფორმაციის ტექნოლოგია" სასწავლო პროგრამის ძირითადი პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პერსონალს ჰქონდეს IT Essential კურსის ინსტრუქტორის სტატუსი, რაც უზრუნველყოფს პედაგოგისა და პროფესიული სტუდენტების, შესაბამისი on-lineსასწავლო გარემოსადმი წვდომას, მათ შორის ქართულ ენაზე და მის გამოყენებას სასწავლო და შეფასებით სქემებში; სასურველია პსდ-მ მოახდინოს პრაქტიკის ობიექტებზე, მოდულების ან მოდულის ცალკეული თემატიკის განმახორცილებელი პირებისათვის, მოდულის სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევა/დადასტურების მექანიზმების გაცნობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. დაწესებულების რეესტრის მიხედვით პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა, რომელიც დამატების შემთხვევაში განახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, შეადგენს 39,ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა კვოტა შეადგენს 272(დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა 342), თანაფარდობა შეადგენს 272/39 7-1 -თან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

------------

------------

(თბილისი,2018)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიულმასწავლებელთა პირადისაქმეებით;
- ✓ შრომითი ურთიერთობისა და მომსახურების ხელშეკრულებებით;
- ✓ საინფორმაციო ბაზა -Evet.emis.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან დადებული აქვს ორი ტიპის ხელშეკრულება - შრომითი ხელშეკრულება (პროფესიული მასწავლებელი) და მომსახურების ხელშეკრულება. ორივე ხელშეკრულება დადებულია უვადოდ, ვადის მითითების გარეშე, სასურველია, მომსახურების ხელშეკრულებაში მიეთითოს - „პროგრამის/მოდულის განხორციელების ვადით". მომსახურებისა და შრომით ხელშეკრულებებში, რეკვიზიტების ნაწილში მითითებულია ორივე მხარის დაზუსტებული ინფორმაცია, თუმცა, სასურველია, მომსახურების და შრომითი ხელშეკრულების დასაწყისშივე იყოს ასახული ადგილი/მისამართი, სადაც დასაქმული განახორციელებს შრომით საქმიანობას (საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი მეორე კარის მეორე თავის მეექვსე მუხლის მე-9 პ-ის „გ" ქვეპუნქტი).

სასურველია, მომსახურების ხელშეკრულებში „უვადოს" ნაცვლად მიეთითოსგანსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო „პროგრამის/მოდულის" ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*[თბილისი,2018]*

პსდ-ს პერსონალთა პირადი საქმეები ინახება კოლეჯში, თუმცა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში ზუსტად არ არის გაწერილი პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სასურველია, პსდ-მ სრულყოს მომსახურებისა და შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ მომსახურებისა და შრომითი ხელშეკრულებებით;
- ✓ პირადი საქმეებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(თბილისი,2018)*

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული ანათლების აფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | რედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი ტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | ტუდენტთა აქტობრივი აოდენობა მისამართების იხედვით) | ადგილებისშესაძლოზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური) | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში 040171 | 60 | 75 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის2თბილისი, ბაქრაძის 6 | - | ქუთაისი, ოცხელის2- 32 თბილისი, ბაქრაძის 6 32<br><br>სულ - 64 |
| 2 | საფინანსო სერვისე | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიულ | 51 | 66 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის2თბილისი, | - | ქუთაისი, ოცხელის2 - 32 თბილისი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signatures]

(თბილისი,2018)

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბი (მოდულური) | | ი კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456 | | | | ბაქრაძის 6 | | ბაქრაძის 6 31<br><br>სულ - 63 |
| 3 | ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - 020156 | 99 | 129 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის 2თბილისი, ბაქრაძის 6 | - | ქუთაისი, ოცხელის2 - 26 თბილისი, ბაქრაძის 6 32<br><br>სულ- 58 |
| 4 | საოფისე საქმე (მოდულური) | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369 | 59 | 89 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის 2 თბილისი, ბაქრაძის 6 | - | ქუთაისი, ოცხელის2 - 32 თბილისი, ბაქრაძის 6 31<br><br>სულ - 63 |
| 5 | კონსულტანტ-გამყიდველი (მოდულური) | მესამე | კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - 020256 | 66 | 81 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის 2 | - | ქუთაისი, ოცხელის 2<br><br>სულ - 24 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

------------------

*(თბილისი,2018)*

*დანართი №2*

**IX. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (3 -ფურცელი)
დანართი 2. სტრატეგიული გეგმა (7- ფურცელი)
დანართი 3. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის წარმოების დებულება (7 -ფურცელი)
დანართი 4. ხელშეკრულება №21; 28.05.2018წ.(2 -ფურცელი);
დანართი 5. ხელშეკრულება №19; 28.05.2018წ. (2 -ფურცელი)
დანართი 6. მემორანდუმი №20; 28.05.2018წ. (2 -ფურცელი)
დანართი 7. მემორანდუმი №18; 28.05.2018წ. (2 -ფურცელი)
დანართი 8. შეფასების კითხვარი (2 - ფურცელი)
დანართი სულ - 27 ფურცელი

18.06.2018 წელი
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

*(თბილისი,2018)*